დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

იანვარი, 2023

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საახალწლო მილოცვა თანამემამულეებს

ძვირფასო თანამემამულეებო,
მაქვს პატივი მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი, შობის დღესასწაული და მომავლის რწმენითა და ახალი შესაძლებლობების იმედით, მშვიდობა და წარმატებები გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!
მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მსოფლიოს მრავალ კუთხეში მიმობნეულ დიასპორის თითოეულ წარმომადგენელს კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმ თავდადებისა და დაუღალავი ძალისხმევისათვის, რომელსაც თქვენ, ქვეყნის საზღვრებს მიღმა დამკვიდრების რთული პროცესის პარალელურად იჩენთ სამშობლოსთან მჭიდრო კავშირებისა და ეროვნული ღირებულებების შესანარჩუნებლად, ადგილსამყოფელ ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად.
გულწრფელად მახარებს საერთო ეროვნული ინტერესების სამსახურში სახელმწიფოსა და დიასპორის გაერთიანება, რაც სულ უფრო თვალნათელი, ურთიერთსასარგებლო და წარმატებული ხდება. საქართველოს ხელისუფლება ერთგულად მისდევს ჩვენი ხალხის ისტორიულ არჩევანს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პოლიტიკას.
დღეს არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ქართული დიასპორა განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს, რა მიზნითაც საქართველოს საგარეო უწყება აქტიურად ახდენს დიასპორული ორგანიზაციებისა და კულტურული კერების მხარდაჭერას, აგრძელებს დიასპორისათვის გამიზნული პროექტების განხორციელებას.
მსურს დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავაც გააგრძელებს აქტიურ საქმიანობას და ინტენსიურ თანამშრომლობას ქართულ დიასპორასთან.
მსოფლიოსთვის და თავისუფალი სამყაროსთვის 2022 წელი განსაკუთრებული გამოწვევებით დატვირთული აღმოჩნდა. მწამს, რომ 2023 წელი მშვიდობის მომტანი, სიკეთით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი იქნება.
კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, წინსვლის და წარმატების მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის!

ქ. თესალონიკში საშობაო საღამო გაიმართა

7 იანვარს, ქ. თესალონიკში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო“ ორგანიზებით და საქართველოს გენერალური საკონსულოს ხელშეწყობით, საშობაო საღამო გაიმართა.

საღამოზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქორეოგრაფიული ნომრები. ანსამბლის წევრებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წაიკითხეს ლექსები.

საშობაო საღამოზე მისულ სტუმრებს ვიდეო ჩართვით მიმართა ა.ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტების მართვის ხელმძღვანელმა, სოფიო ლობჟანიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას შობა-ახალი წელი მიულოცა და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საქართველოს“ ხელმძღვანელს, რუსუდან საბაძეს მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

საღამო ჩატარდა ქართული კულტურის ფესტივალის ფარგლებში, რომელიც საბერძნეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.

საქართველოს საელჩომ ქ. ვენაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა

13 იანვარს, ქ. ვენაში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ავსტრიაში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციის წევრებს და მედიცინისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე თანამემამულეებს უმასპინძლა.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ქეთევან ციხელაშვილმა და მათ შობა-ახალი წელი მიულოცა. საქართველოს ელჩმა ისაუბრა ავსტრია-საქართველოს შორის არსებული მტკიცე ურთიერთობებისა და ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯების, ასევე მიმდინარე წლის გეგმებისა და პრიორიტეტების შესახებ. ქეთევან ციხელაშვილმა მადლობა გადაუხადა ქართული სათვისტომოს წევრებს საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისათვის და წარმატებები უსურვა მათ.

საღამო მუსიკალურად გააფორმა ვოკალურმა გუნდმა „ჰარალომ”. ქართველებთან ერთად, ავსტრიელმა და ამერიკელმა მომღერლებმა ქართული ხალხური სიმღერები, მათ შორის საშობაო “ალილოს” რამდენიმე ვარიაცია შეასრულეს.

ქ. ლოს-ანჯელესში „ძველით ახალი წელი“ საზეიმოდ აღნიშნეს

14 იანვარს, ქ. ლოს-ანჯელესში, „სამხრეთ კალიფორნიის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის“ ორგანიზებით, ქართული დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიება, სახელწოდებით - „ძველით ახალი წელი“ გაიმართა. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ქართველი მუსიკოსი ზუმბა (ზაზა კორინთელი) და ტელემსახიობი და სცენარისტი, მიშა ანდღულაძე.

საღამოზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და შობა-ახალი წელი მიულოცა ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ბერიძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის წევრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ტრადიციული ქართული სამზარეულო და ქვევრში დამზადებული ქართული ნატურალური ღვინო.

ქ. მადრიდში ქართული სახელწიფო დროშის დღე აღნიშნეს

14 იანვარს, ქ. მადრიდში მოქმედმა ქართულმა საკვირაო სკოლა „ბეღურამ“ ქართული სახელწიფო დროშის დღე აღნიშნა. სკოლის ისტორიის პედაგოგმა, ცირა მელქაძემ ქართული დროშისა და სახელმწიფო სიმბოლოების წარმოშობის ისტორიაზე ისაუბრა. ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი, თეა ქურხული, ქორეოგრაფი მარიამ ზანთარაია, ხალხურ საკრავთა პედაგოგი, ნათია შეველიოვა და ქართული დიასპორის წევრები.

ქ. რენიში საშობაო კონცერტი გაიმართა

14 იანვარს, ქ. რენიში მოქმედი ასოციაციის ,,მსოფლიო ხალხები" ორგანიზებით საშობაო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასოციაციასთან არსებულმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,გვირილა'' და ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წინწყარო“.

კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ადგილობრივი ფრანგული ასოციაციების წევრები.

საახალწლო ზეიმი ქ. ბარიში

15 იანვარს, ქ. ბარიში, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ ,,იმედის“ ორგანიზებით, ცენტრთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა საახალწლო ღონისძიება გამართეს. მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვები და წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები. სადღესასწაულო საღამოში მონაწილეობა მიიღო ქალთა კვარტეტმა ,,იავნანამ".

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარის გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წევრები და იტალიელი სტუმრები.

ქ. ბორდოში ახალი წლის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიება გაიმართა

15 იანვარს, ქ. ბორდოში არსებული საკვირაო სკოლა-სტუდია „ლილეს“ ორგანიზებით, ახალი წლის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიება გაიმართა. საღამოზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქორეოგრაფიული ნომრები.
სტუდიის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წაიკითხეს ლექსები.

ქ. ბილეფელდის ქართულმა საკვირაო სკოლამ სასწავლო პროცესი განაახლა

15 იანვარს, ქ. ბილეფელდში, „გერმანულ-ქართული საზოგადოების“ ინიციატივით, ქართულმა საკვირაო სკოლამ სასწავლო პროცესი განაახლა. სკოლის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური კონსული მაინის ფრანკფურტში, გიორგი ტაბატაძე, გენ.საკონსულოს თანამშრომლები და ბილეფელდსა და მის ახლო მდებარე ქალაქებში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
გენერალურმა კონსულმა, საკვირაო სკოლას საჩუქრად საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცა.

ქ. ფლორენციაში საახალწლო მიუზიკლი დაიდგა

15 იანვარს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებულმა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნანილა” მაყურებლის წინაშე საახალწლო მინი-მიუზიკლი წარადგინა. მიუზიკლში, ანსამბლ „ნანილასთან” ერთად მონაწილეობას იღებდნენ ფლორენციის წმ. ნინოს ტაძართან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეები - „ნანილას” უმცროსი თაობა.
საღამოს ესწრებოდნენ რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე ხელაია, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კონსტანტინე სურგულაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, თეა ჭანტურიშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. შტუტგარტში საახალწლო ზეიმი გაიმართა

16 იანვარს, ქ. შტუტგარტში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლა „აი იას“ დამფუძნებლების ორგანიზებით, სკოლის აღსაზრდელებისა და მშობლების მონაწილეობით საახალწლო კონცერტი გაიმართა.
მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა. მან მადლობა გადაუხადა საკვირაო სკოლის ხელმძღვანელებს და პედაგოგებს მომავლ თაობაში ქართული ენის შენარჩუნების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და მხარდაჭერა აღუთქვა სამომავლოდ, ქვეყნის საკეთილდღეოდ სხვადასხვა პროექტების განხორციელების საქმეში.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ბათ-იამში გურამ ბათიაშვილის 85 წლის იუბილე აღინიშნა

21 იანვარს, ქ. ბათ-იამში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის“ ორგანიზებით, ცნობილი ქართველი ებრაელი მწერლის, გურამ ბათიაშვილის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.
ლიტერატურულ საღამოზე, მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ისრაელში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები და ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლები.

ქ. პარიზში ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის კულტურული ღონისძიება გაიმართა

21 იანვარს, ქ. პარიზში, საფრანგეთის ქართული სათვისტომოსა და ქ. პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ორგანიზებით, ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის კულტურული ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაში, რომელიც ყოველწლიურად შვედური სამრევლოს ეკლესიაში იმართება, მონაწილეობა მიიღეს ქ. პარიზში მოქმედი სიმღერის ანსამბლმა „მერანი“, ასოციაცია - ქართველთა კულტურის კერა „ლაზმა“ და მასთან არსებულმა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა.
ღონისძიებას ფრანგი მეგობრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქ. ათენში საახალწლო წარმოდგენა „ცისკრის ფერია“ გაიმართა

22 იანვარს, ქ. ათენში, თეატრ „ალექსანდრიაში“, ვახტანგ VI-ის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა საახალწლო ზღაპარი „ცისკრის ფერია“ წარადგინეს. საახალწლო ზღაპრის ტექსტის ავტორია, ათენში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, პოეტი მადონა ჯავახიშვილი.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2019 წლის გამარჯვებული ლიკა ჯანელიძე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

საქველმოქმედო კონცერტი ქ. რომში

22 იანვარს, ქ. რომში, ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, რომში არსებული უკრაინული ეკლესიების - წმ. სოფიას ტაძრისა და წმ. სერგისა და ბაქოსის ტაძრის მრევლის ორგანიზებით გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილება მიიღო ქალთა ვოკალურმა სამოყვარულო ანსამბლმა „Le Vie Dei Canti“.
ანსამბლმა, რომელსაც ქართველი მუსიკოსი, ეკა კაჭარავა ხელმძღვანელობს, შეასრულა ხალხური სიმღერები და საშობაო საგალობლები უკრაინულ, ქართულ და ლათინურ ენებზე შეასრულა.

მიხეილ ერისთავის ნამუშევრების გამოფენა ქ. დოჰაში

22 იანვარს, კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს და კატარის კულტურის ფონდის ერთობლივი ორგანიზებით, ქ. დოჰაში, Katara-ს საგამოფენო დარბაზში, კატარში მცხოვრები ქართველი მხატვრის, მიხეილ ერისთავის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე, რომელიც საქართველოსა და კატარს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა, წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრის მიერ შექმნილი 20-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

ღონისძიება კატარის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ნიკოლოზ რევაზიშვილმა და კატარის კულტურის ფონდის - Katara-ს გენერალურმა დირექტორმა, ხალედ ბინ იბრაჰიმ ალ სულაიტიმ ერთობლივად გახსნეს. გამოფენის გახსნას დაესწრნენ კატარში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, დიპლომატიური კორპუსის, აკადემიური წრეების და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ასევე კატარში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები.



ქ. სტოკჰოლმში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა

22 იანვარს, ქ. სტოკჰოლმში, შვედეთის წმინდა გიორგის მართლმადიდებლური სამრევლოს ორგანიზებით, ასევე, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა.

ამ ეტაპზე, საკვირაო სკოლაში, რომელიც ეკლესიის შენობაში ფუნქციონირებს, სასულიერო განათლების გარდა, შეისწავლიან ქართულ ენას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. საკვირაო სკოლის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ირაკლი ხუცურაულმა და მამა ნიკოლოზმა, რომელმაც ისაუბრა სამრევლოსა და სკოლის სამომავლო გეგმებზე.

საქართველოს ელჩმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საკვირაო სკოლის მუშაობა ხელს შეუწყობს ქართული ენის და კულტურის ცოდნის განმტკიცებას შვედეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებით კი დაეხმარება ახალგაზრდებს, რომელთა დიდი ნაწილი, ობიექტური მიზეზების გამო, მოკლებულია საქართველოსთან კავშირს.

ქ. ათენში საახალწლო ზეიმი გაიმართა

24 იანვარს, ქ. ათენში მოქმედი ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის“ აღსაზრდელებმა საახალწლო ზეიმი გამართეს.
ღონისძიებაზე ცენტრის მოსწავლეებმა ქართულ და ბერძნულ ენებზე შეასრულეს სიმღერები და წაიკითხეს ლექსები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ლატვიის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

25 იანვარს, ქ. რიგაში, ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა მაისურაძემ სიტყვით მიმართა სტუმრებს და შეაჯამა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საელჩოს საქმიანობა, ისაუბრა საქართველო-ლატვიის ურთიერთობებზე და მადლობა გადაუხადა დიასპორის წარმომადგენლებს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დიდ ბრიტანეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს შეხვდა

26 იანვარს, გაერთიანებულ სამეფოში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი დიდ ბრიტანეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს შეხვდა.
ილია დარჩიაშვილმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის დღის წესრიგზე და მაღალი შეფასება მისცა როგორც მიმდინარე ვიზიტს, ასევე უორდროპის სტრატეგიულ დიალოგს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნებს შორის კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობასა და ქართველი სტუდენტებისთვის გაერთიანებულ სამეფოში განათლების მიღების შესაძლებლობას.

ქ. ჰაგაში ნიკოლოზ წულუკიძის ინტერაქტიული ლექცია „ქართული თეატრის ამბავი“ ჩატარდა

27 იანვარს, ქ. ჰაგაში, ნიდერლანდებში ქართული კულტურის ცენტრისა და ქართული საერთაშორისო დიასპორული თეატრის „დაბრუნება“ თანაორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა ქართველი მსახიობისა და თეატრმცოდნის, ეროსი მანჯგალაძის პრემიისა და ოქროს ფრთის ლაურეატის, ნიკოლოზ წულუკიძის ინტერაქტიული ლექცია - „ქართული თეატრის ამბავი“.
ღონისძიების გახსნით ნაწილში დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქართველებისათვის თეატრი არასდროს ყოფილა მხოლოდ წმინდა შემოქმედება, რამეთუ წინაპრები აქ ინახავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას და აღვივებდნენ ქართულ პატრიოტიზმსა და უკეთესი მომავლის იმედს. საქართველოს ელჩის განცხადებით, ბოლო ათწლეულებში ქართულმა თეატრმა კიდევ ერთი ფუნქცია შეიძინა: ის გახდა ქართული ემიგრაციის სამშობლოსთან დამაკავშირებელი სულიერი და კულტურული ძარღვი.
ქართული თეატრისადმი მიძღვნილი საღამოს ფარგლებში, ნიკოლოზ წულუკიძემ ვრცლად ისაუბრა ქართული თეატრის ისტორიაზე, გაიხსენა ქართველი რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები, სცენოგრაფები და სხვა თეატრალურ პროფესიათა წარმომადგენლები.
საღამოს ესწრებოდნენ ნიდერლანდებში ხელოვნების დარგში მოღვაწე პროფესიონალები, თეატრალური საზოგადოებისა და ქართული სათვისტომოს წევრები.

ქ. ანტვერპენში სპექტაკლების „შინდისის გმირები“ და „იავნანამ რა ჰქმნა“ ჩვენება გაიმართა

28 იანვარს, ქ. ანტვერპენში, „წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებული ბერი გაბრიელის სახელობის სკოლის“ და ლიტერატურული თეატრის „ჩვენ დავბრუნდებით“ დამფუძნებლის, მანანა ხორბალაძის ორგანიზებით, სპექტაკლების ,,შინდისის გმირები“ და ,,იავნანამ რა ჰქმნა" ჩვენება გაიმართა.

სპექტაკლმა, ერთ თეატრალურ სივრცეში გააერთიანა პროფესიონალი და მოყვარული მსახიობები. სპექტაკლში, ანტვერპენის საბავშვო თეატრის მოყვარულ მსახიობებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ქართული საერთაშორისო დიასპორული თეატრის, „დაბრუნება“ წევრებმა, პროფესიონალმა მსახიობებმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრიდან, აზერბაიჯანიდან და ლიეტუვადან. სპექტაკლის ,,იავნანამ რა ჰქმნა" პრემიერა პირველად საქართველოში, 2022 წლის 7 ივლისს შედგა და ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლის რეჟისორია გეგა ქურციკიძე.

ღონისძიების დასასრულს, დიასპორის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენელმა, ვახტანგ მახარობლიშვილმა და ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა დოსითეოსმა.

საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს, ანტვერპენის ქართული მხატვრული კითხვის წრისა და საბავშვო თეატრის დამფუძნებელს, მანანა ხორბალაძეს, საკვირაო სკოლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს ემიგრაციაში ყოფნის პირობებში ქართული საქმის წარმატებით გაძღოლისათვის. ვახტანგ მახარობლიშვილმა ყურადღება გაამახვილა, ასევე, მათ მნიშვნელოვან როლზე ბელგიის სამეფოში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან კავშირების გაღრმავება, რომ სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებისა და წრეების მხარდაჭერას.

ქ. ნიუ-იორკში ნათია ხადურის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

28 იანვარს, ქ. ნიუ-იორკში მოქმედმა ქართული კულტურის ცენტრმა „DANCING CRANE COMPANY“ ამერიკაში მოღვაწე ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის, ნათია ხადურის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა. პოეზიის საღამოზე, რომელსაც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ისაუბრეს პოეტის შემოქმედებაზე. ღონისძიებას უძღვებოდა წამყვანი ლელა ნინუა.

კლასიკური მუსიკის საღამო ქ. კიოლნში

29 იანვარს, ქ. კიოლნის „ქართულ-გერმანული კულტურის გაცვლითი საზოგადოებისა“ და „გერმანიის ქართული სათვისტომოს“ ორგანიზებით, კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა საზოგადოებასთან არსებული სტუდენტური კამერული ორკესტრი. ორკესტრის შემადგენლობაში არიან ის ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც კიოლნის უმაღლეს მუსიკალური უნივერსიტეტში სწავლობენ. ორკესტრის დირიჟორია გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი, შოთა ჯინჭარაძე.

ქ. ფლორენციის ქართულ საკვირაო სკოლას საქართველოს ელჩი ეწვია

29 იანვარს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლას ეწვია და სასწავლო პროცესს დაესწრო იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კონსტანტინე სურგულაძე.
საქართველოს ელჩმა საკვირაო სკოლას საჩუქრად საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცა.
კონსტანტინე სურგულაძემ სკოლის პედაგოგებსა და სამრევლოსთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ნანილას“ წევრებს სამადლობელი სიგელები გადასცა.

მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართველი ხელოვანები ბელგიაში“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2022 წლის გამარჯვებულის, ალექსანდრე ქიზიყურაშვილის ინიციატივით მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართველი ხელოვანები ბელგიაში“ გადაიღეს.
მოკლემეტრაჟიანი ფილმის მიზანს წარმოადგენდა ქართველი და უცხოელი აუდიტორიისთვის ბელგიის სამეფოში მოღვაწე ქართველი ხელოვანების, დევი ხმალაძის, დავით ნათიძის, მერაბ სურვილაძის და თამარ რამიშვილის, აგრეთვე, ბელგიელი ხელოვანის, ჯულიან დემარეს შემოქმედების გაცნობა.
ფილმის გადაღებასა და მონტაჟზე მუშაობდა თათია ლიპარტელიანი.

ქ. მადრიდში მუსიკალური წარმოდგენა „შობის სიზმარი“ გაიმართა

18 დეკემბერს, მადრიდის საკვირაო სკოლა „ბეღურამ“ მუსიკალური წარმოდგენა „შობის სიზმარი გამართა.

წარმოდგენა ბავშვებს პატარა გოგონა ანიტას შობის ღამეს სიზმარში მოგზაურობას მოუთხრობს. ანიტას სიზმრის გმირები იყვნენ მერი პოპინსი, კრუელა, პეპი გრძელი წინდა, მოანა, ქალთევზები, ალადინის გმირები, ქართული ცნობილი მულტფილმის „სოფლის მაშენებელნისა“ და „თოვლის გუდას“ პერსონაჟები.

საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა შობის საგალობელი და ქართული საესტრადო სიმღერები შეასრულეს. ღონისძიების დასასრულს სკოლის ხელმძღვანელმა, თეა ქურხულმა და პედაგოგმა, ცირა მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას დამდეგი ახალი წელი მიულოცეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO